

**ნანა არახამია<sup>1</sup>**

*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

<https://doi.org/10.52340/sou.2022.20.05>

### **ქემპარიტი მწერლობა ერებს შორის მეგობრობის პატიოსანი შუამავალი (დალი ცაავა)<sup>2</sup>**

**აბსტრაქტი.** ნაშრომის მიზანია აფხაზეთში მოღვაწე ქართველი პოეტი ქალის დალი ცაავას პოეტური ნარატივის მეტ-ნაკლებად წარმოდგენა და შეფასება. ასევე, ჩვენი ინტერესის არეალს განსაზღვრავს დალი ცაავას ტრაგიკული ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი არაორდინალური შემოქმედების ფართო აუდიტორიამდე მიტანა და პოპულარიზაცია. მივიჩნევთ, რომ დალი ცაავას შემოქმედება, მისი მეტად მგრძნობიარე და ფაქიზი დამოკიდებულება აფხაზეთის თემისადმი, თითქმის არ არის შესწავლილი. ასევე, არ მოგვეპოვება დალი ცაავას მეტად საინტერესო პოეტური ნარატივის მეცნიერული კვლევა. ვფიქრობთ, დალი ცაავას ცხოვრება და შემოქმედებითი ასპექტების მეცნიერულად შესწავლა აუცილებელი და საჭიროა თამედროვე ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში, როგორც ლიტერატურულ-მხატვრული ტექსტის შესწავლის თვალსაზრისით, ასევე, ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობებისა და აფხაზეთისადმი პოეტი ქალის უზომო სიყვარულის გამონახვის, აფხაზეთის დაკარგვით გამოწვეული უზომო დრამატიზმის წარმოჩენის თვალსაზრისითაც. ჩვენი აზრით, ასეთ პოეტთა შემოქმედების შესწავლა-პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ჩვენს ერებს შორის ჩატენილი ხიდის აღდგენას და ძმური ურთიერთობების განახლებას.

<sup>1</sup> **ნანა არახამია**, ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

<sup>2</sup> მოხსენება წარმოდგენილი იყო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „აფხაზეთის კულტურული ფასეულობანი: ენა, ლიტერატურა, ისტორია, სოციალური მეცნიერებანი, კულტურის ძეგლები“, რომელიც აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის დაბადებიდან 100 წლისთავს მიეძღვნა 2022 წლის 8-9 დეკემბერს.

*კვლევის მეთოდი.* ნაშრომში ვიყენებთ ჰერმენევტიკის, ტექსტზე დაკვირვების და შედარების მეთოდებს, რაც გვეხმარება დალი ცაავას ლიტერატურული ნარატივის გაანალიზებასა და მისი შემოქმედების ძირითადი ასპექტების დადგენაში.

ნაშრომში პირველად შეფასებულია დალი ცაავას შემოქმედება და მისი ესთეტიკური სამყარო. პოეტის შემოქმედება მოითხოვს კომპლექსურ ანალიზს, შესაბამისად ჩვენი ხელს შეუწყობს დალი ცაავას შემოქმედების ამ მმართველობით შესწავლას. მიგვაჩნია, რომ დალი ცაავა განსაკუთრებული პოეტური ნიჭისა და ღრმად მგრძნობიარე, აფხაზეთზე უბადლოდ შეყვარებული პოეტის ქემმარიტი სახეა. ამდენად, მისი პოეზიის შესწავლა პოპულარიზაცია ხელს შეუწყობს ქართველ და აფხაზ ერებს შორის ძმური კავშირების აღდგენას. ასევე, ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა, უფრო მეტად უნდა იყოს ინფორმირებული ქართველ და აფხაზ ერებს შორის წრფელი ურთიერთობებისა და დიდი მეგობრობის შესახებ. დალი ცაავას პოეტური ნარატივი სწორედ, რომ დასტურია ამ ფაქტისა.

**საკვანძო სიტყვები:** დალი ცაავა, შემოქმედება, კაპრიჩიო, პონტოს ექვსინოსი, სამშობლო, თეთრი მაგნოლია, მონატრება, იალქანი.

**Nana Arakhamia<sup>3</sup>**

*Sokhumi State University*

### **True Writing, an Honest Mediator of Friendship Between Nations (Dali Tsaava)<sup>4</sup>**

**Abstract.** Objective and task of the paper subject to analysis: more or less study and analyzing of poetical rhetoric of Georgian poetess, Dali Tsaava acting in Abkhazia. To our minds Dali Tsaava's too unusual work, her attitude to the topic on Abkhazia and generally her work has not been yet studied and duly acknowledged. We have no any scientific studies. In our minds it is essential and inevitable to have scientifically studied poetess' life and creative aspects considering both the study of literary texts and expression of Georgian-Abkhazian literary relations and boundless love of poetess towards Abkhazia and reflection of boundless dramatic nature caused due to the loss of Abkhazia.

---

<sup>3</sup> **Nana Arakhamia**, Doctor of Philology, Associate Professor of Sokhumi State University.

<sup>4</sup> The report was presented at the second international scientific conference "*Cultural Values of Abkhazia: Language, Literature, History, Social Sciences, Cultural Monuments*" organized by Sokhumi State University and the Korneli Kekelidze National Center for Manuscripts of Georgia, which was dedicated to the 100th anniversary of the birth of academician Mariam Lortkifanidze on 8-8-2022. on December 9.

The paper includes verses full of pain and desperation caused due to the loss of Abkhazia. Here are also included the verses reflecting loneliness and despair of poetess. We also review Dali Tsaava's way of life. Notwithstanding the paucity of information, we managed to find memories of the coevals of poetess.

Study and popularization of Dali Tsaava's creation is the purpose of our study that will facilitate in the restoration of broken relations between fraternal Georgian and Abkhazian nations. To our minds the present youth is to be more informed about frank relations and great love between Georgian and Abkhazian nations/ Dali Tsaava's poetical rhetoric is exact proof of aforesaid fact.

Hermeneutical, narrative and comparative methods are applied in the paper. The scientific news and practical task of the paper is that we have no interesting literary critical analysis and scientific study on the poetess' creation.

**Key words:** Capriccio, Euxeinos Pontos, homeland, white magnolia, Missing.

*ძირითადი კვლევა.* მხატვრული სიტყვა დიდი საშუალებაა ხალხთა შორის მეგობრობის, პატრიოტიზმის იდეების საქადაგებლად, ამ სულისკვეთებით მიმოვიხილავ აფხაზეთში მოღვაწე შესანიშნავი ქართველი პოეტის დალი ცაავას შემოქმედებას. იქნებ, ასე მაინც შევძლოთ მივაწვდინოთ ხმა ჩვენს მოძმე აფხაზ მეგობრებს ჩვენს შორის ღრმა პატივისცემის გრძნობის, მეგობრობის და სიყვარულის აღდგენის იმედით. დალი ცაავას პოეტური შემოქმედება უთუოდ დიდი დასტურია იმ გულწრფელი მეგობრობისა, რაც აფხაზ და ქართველ ერს ოდითგანვე მოსდგამდათ. ჩვენი ინტერესის არეალსაც ხომ ამ გაბზარული მეგობრობის აღდგენის ხელშეწყობა განაპირობებს. ასევე, ვფიქრობთ, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა, უფრო მეტად უნდა იყოს ინფორმირებული ქართველ და აფხაზ ერებს შორის წრფელი ურთიერთობებისა და დიდი მეგობრობის შესახებ. დალი ცაავას პოეტური ნარატივი სწორედ რომ დასტურია ამ ფაქტისა.

დალი ცაავა არაორდინალური აზროვნების, მეტად საინტერესო პოეტია და წარმოადგენს ავანგარდის შესანიშნავი მიმდევარია. იგი 1947 წელს ქალაქ სენაკში დაიბადა. ბავშვობა და ყრმობა ქ. სოხუმში გაატარა. ლექსების წერაც აქ დაიწყო. სოხუმში საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სასწავლებლად პეტერბურგს გაემგზავრა. მოგვიანებით, თბილისში ჩამოვიდა და გურამ რამიშვილის სახელობის მე-6 გერმანულ სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა.

„ღრმად განათლებული, არაორდინალური ხასიათის, ხელგამლილობით, იუმორის გრძნობით, გარეგნობითაც და ჩაცმის სტილითაც კი გამორჩეული იყო... სული ჰქონდა დაუდგრომელი, თვალი მახვილი, გემოვნება დახ-

ვეწილი, მოსწავლეებზე ამოსდიოდა მზე და მთვარე და მიიჩნევდა, რომ ეს საქმე არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე პოეზია“ (ბექიშვილი, 2000: 32).

„ცეცხლო დაიფარე,  
წყალო დაიფარე,  
მიწავ დაიფარე,  
ბაღლები მზისადარი“.

პიროვნება, პედაგოგი, პოეტი, სიტყვის ხელოვანი, - ასე იხსენებენ ახლო მეგობრები დალი ცაავას. მისი ლექსების კრებული - „სიზმრები ტყავის სავარძელში“ პირველად 1984 წელს სოხუმში გამოიცა. მეორე კრებული - „თორმეტი კაპრიჩიო“ თბილისში 1988 წელს დაიბეჭდა, ხოლო მესამე - „პონტოს ევქსინოსი“ 2000 წელს იქნა გამოცემული თბილისში, რისთვისაც პოეტს გიორგი შერვაშიძის პრემია მიენიჭა.

სანამ დალი ცაავას პოეზიას შევეხებით მინდა ყურადღება შევაჩერო მისი, როგორც ადამიანურ, მოქალაქის პიროვნულ ღირსებებს, ასევე, მის უზადლო ნიჭსა და განათლებას. გარკვეული პერიოდი პოეტმა იცხოვრა პეტერბურგში, სადაც მას მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა ანა ახმატოვასთან, იოსებ ბროდსკისთან. ნინო ბექიშვილი დალი ცაავას მოსაგონარ წერილში წერს: „დალი ცაავას პეტერბურგიდან ნამდვილი სიმდიდრე ჰქონდა წამოღებული - ანა ახმატოვას ნაჩუქარი პატარა ჩანთა და თავისი ახლო მეგობრის იოსებ ბროდსკის ამერიკიდან გამოგზავნილი ავტოგრაფიანი წიგნები, ღია ბარათები და წერილები. ბროდსკის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ პოეტის სხვა მეგობრებთან ერთად ისიც უვლიდა და პატრონობდა იოსებ ბროდსკის მოხუც მშობლებს.

ერთნი ამბობდნენ, რომ ამ პოეტესას, რომელიც სრულიად ნორჩი ჩავიდა ლენინგრადში სოხუმიდან, პლატონურად უყვარდა ბროდსკი. სხვები კი მაგალითად, დალი ცაავას მეგობარი, პიტერული ანდერგრაუნდის წარმომადგენელი ელენე იგნატოვა საკუთარ მოგონებებში წერს: „რომ დალის ბროდსკი სერიოზულად უყვარდა და მთელი ცხოვრება მასზე იყო შეყვარებული. რომ ქართველი პოეტი ქალი ბროდსკისთან შეხვედრას თავისი ცხოვრების უმთავრეს მოვლენად მიიჩნევდა. დალი ცაავამ ბროდსკის ლექსიც მიუძღვნა. მოკლე ხანში ბროდსკიმაც ლექსით უპასუხა (იგნატოვა, 2019).

იოსებ ბროდსკი დიდი ინტერესით იყო განწყობილი საქართველოს მიმართ, ერთხელ ესტუმრა კიდევ ჩვენს ქვეყანას, შესანიშნავად აქვს ნათარგმნი ოთარ ჭილაძის ლექსი „გამოთხოვება“. არ არის გამორიცხული დიდი რუსი პოეტისა და ამერიკელი ესეისტის, როგორც თავისთავს უწოდებდა ბროდსკი, გატაცება და ინტერესი საქართველოს მიმართ, დალი ცაავასთან მეგობრული კავშირითაც ყოფილიყო განპირობებული და ერთგვარი შემოქმედებითი იმპულსის როლიც შეესრულებინა ჩვენს პოეტს ამ საქმეში. ელენა იგნატოვის მოგონებაში ვკითხულობთ: „საქართველო ბროდსკისთვის ძმები ჭილაძეები

იყვნენ და კიდევ ერთი პიროვნება - ცნობილი ქართველი პოეტისა დალი ცაავა. ეს ის დალია ბულატი ოკუჯავას „ქართული სიმღერის მუზა რომ იყო. ლეგენდარულმა პოეტმა მის შესახებ დაწერა ცნობილი ლექსი „დაე იმღეროს ჩემთვის ჩემმა დალიმ“. ასევე, იოსებ ბროდსკის დიდი სიყვარული გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებისადმი უდაოდ დალი ცაავას დამსახურებაა. აი. რას წერს ე. იგნატოვა მის მოგონებებში: „ბროდსკის დაუწყია გალაკტიონის ლექსის „ცამეტი წლის ხარ“ თარგმნა, მაგრამ მეორე სტროფის შემდეგ აღარ ან ვეღარ გაუგრძელებია“. დალი ცაავას სიტყვები გალაკტიონის „მერის“ ბელა ახმადულინასეული თარგმანზე: „გალაკტიონამდე მიწვდომა ყველას უნდა, თუმცა ის ჯერ ვერავინ შეძლო“, საკმარისი გახდა ბროდსკისთვის ეთხოვა დალი ცაავასთვის ტაბიძის ერთ-ერთი ლექსის სიტყვასიტყვით თარგმანი. სწორედ „ცამეტი წლის ხარ“ არის ის ლექსი, რომლის მხოლოდ ერთი სტროფი თარგმნა მან და გაუმხილა დალი ცაავას, მთელი დამე გავათიე, მაგრამ მეტი ვერაფერი დავამატეო. დიან, ეს იყო იოსებ ბროდსკი, ხოლო გალაკტიონი ბროდსკისთვის მთელი საქართველო იყო. რელიგიური თემების ესოდენ მძლავრი ნაკადი დალი ცაავას პოეტურ სამყაროში ვფიქრობთ, რომ იოსებ ბროდსკის შემოქმედების გავლენითაა შექმნილი. მას თითქმის ზეპირად ცოდნია ბროდსკის ლექსები (იგნატოვა, 2019: 4).

საინტერესოა დალი ცაავას მეგობრული კავშირი და ურთიერთობა მუსიკოს თომას ჰოიზერმანთან, რომელმაც კარგად შეისწავლა ქართული ენა, ქართული ფოლკლორი და, როგორც ლიტერატორმა, გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებაზე ნაშრომიც გამოსცა. „თომასი სვიმონიშვილების ოჯახში ხშირად ხვდებოდა დალი ცაავას, მის მეგობარსა და ახლობელ ადამიანს, ერთად იჯდნენ და საუბრობდნენ სასიამოვნო თემებზე. ამ შემთხვევაშიც ვფიქრობთ, მეტად ორიგინალური აზროვნებისა და დიდი განათლების მქონე დალი ცაავამ უფრო გაუცხოველა ინტერესი თომას ჰოიზერმანს ჩვენი ქვეყნის კულტურის, ფოლკლორის და ლიტერატურული ტრადიციების მიმართ.

დალი ცაავას დიდ ღირსებებზე მიგვანიშნებს არჩილ ფირცხელავას უსათაურო ლექსიც: „...და მანუგეშებს დალი ცაავა,

ახლა ფილტვებით არ კვდებიანო...“

ხოლო ლექსის დასასრულს ვკითხულობთ:

„... სხვის ნიშნულ მთაზე მაინც არ ავალ,

თუმცა სხვაგვარი ალი მედება...“

ისევ დღე, ლექსი დალი ცაავა“ (ფირცხელავა, 2022)

გულშიჩამწვდომია ნინო ბექიშვილის სიტყვები დალი ცაავასადმი, „ის ნამდვილად გამორჩეული ადამიანი იყო: საინტერესო, ღრმა, განათლებული. უამრავ რამეს ასწავლიდა ბავშვებს ბერძნული მითოლოგიით დაწყებული ბიბლიური სიუჟეტებით დამთავრებული. ჩემი შვილი დღემდე იმეორებს, რომ არ შეხვედრია „დალიმასზე“ უფრო საინტერესო, განათლებული და მა-

გარი ადამიანი, რომ ყველაფერი რაც უსწავლია, დალი მასწავლებლისგან იცის“ (ბუქიშვილი, 2000: 35).

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი ტიტე მოსია იხსენებს: „მეორე კურსის სტუდენტი ვიყავი და მონაწილეობას ვღებულობდი ტერენტი გრანელის პოეზიის საღამოზე. ეს ის დრო იყო, როცა გრანელზე იკრძალებოდა თავისუფლად საუბარი. ამ საღამოს გავიცანით დალი ცაავა მე და ჯემალ შონიამ. მონაწილეები მიგვიპატიჟა თავის ბინაში და ვსაუბრობდით მეტად საინტერესო ლიტერატურულ თემებზე. დალი იყო თავაზიანი, უზომოდ განათლებული, სტუმართმოყვარე და პატრიოტი ადამიანი“.

დალი ცაავა საკუთარი სტილის პოეტია. ამის თქმის საშუალებას, არა მარტო მისი საოცრად განსხვავებული მეტად ავანგარდული პოეზია იძლევა, არამედ მისი ლექსების დასათარუების ორიგინალური ჩანაფიქრიც. ერთ კაპრიჩოს მოყვა მეორე კაპრიჩო, მეორეს მესამე და ასე შეიქმნა კაპრიჩოსავით მუსიკალური პოეტის სამყარო.

კაპრიჩო (იტალ. capriccio, სიტყვასიტყვით ჭირვეულობა, ჟინიანობა) ცვალებადი ხასიათისა და თავისუფალი ფორმის ბრწყინვალე, ვირტუალური საკრავი პიესაა. (ჩაიკოვსკის „იტალიური კაპრიჩო“, რიმსკი კორსაკოვის „ესპანური კაპრიჩო“). ცვალებადი ხასიათი, თავისუფალი ლექსი, დალი ცაავასთვის ნიშანდობლივი განწყობილებებით, იმპულსებით არის ნაკარნახევი. ამიტომაც ასე უხდება და ხდის ორიგინალურსაც მის პოეზიას მხოლოდ კაპრიჩო ლექსების სათაურად (ცაავა, 1988).

პლატონის აზრით, პოეტი ღმერთის „მთარგმნელი“ და განმამარტებელია: „...თვით ღმერთი მეტყველებს მათი პირით...არცერთი პოეტი სხვა არა არის რა, თუ არა ღმერთის მთარგმნელი და განმამარტებელი..“ ნამდვილად არ არის გადამეტებული, თუ ვიტყვით, რომ დალი ცაავას პოეზია ძალიან ახლოსაა ღმერთის ქადაგებასთან სიყვარულზე, კაცთმოყვარეობაზე, ნამუსიანობაზე, სიკეთესა და ბოროტებაზე... და მაინც რაზე წერს პოეტი? რა არის მისი ლექსის მთავარი სათქმელი? როგორია პოეტი ქალის შინაგანი სამყარო? რა თემებს დასტრიალებს მისი ფიქრები? ვინაა დალი ცაავას ლექსების ლირიკული გმირი? რა საკუთარი ნიშნები ეტყობა დალი ცაავას პოეზიას?

სიკეთისა და ბოროტების მარადიული ჭიდილი წითელ ხაზად გასდევს პოეტის შემოქმედებას. „ერთი ფრთა თეთრი გაქვს, მოლალურო, მეორე კი შავი“. რა თქმა უნდა პოეტი ქალი ამ სიტყვებით შეგვახსენებს ქვეყნის დასაბამიდან არსებულ პრობლემას, ბრძოლას კეთილსა და ბოროტს შორის - თემა, რომელიც ყველა დროის ესთეტიკოსს აწუხებდა. პოეტი ფიქრობს, რომ ბოროტება გაცილებით ზეიმობს ამქვეყნად ვიდრე სიკეთე: „კაენის მოდგმავ, შენს სიხარბეს არ ადევს კლიტე“, იმდენად მძლავრობს ბოროტება, რომ პოეტი თავის საყვარელ თუთიყუშს შესჩივის:

„ვის ვუხმო სუზი-ჩემო საბრალო თუთიყუშო?!

ფუძის ანგელოზი სახლიდან წავიდა,

ბუნარი გაცივდა,  
ნაცრის ჩხრეკას აზრი არა აქვს, რადგან  
საწნახელი სავსეა ჭინკებით

და ტყის დედოფალს მგელი შეუკაზმავს“ (ცაავა 2000).

გულისტკივილით წერს პოეტი: „და გაცვეთილი ნამუსის ქუდი გვიღვეს ზანდუკში“. „...ეკლის გვირგვინი ადგას კეთილს ბოროტს დაფნის გვირგვინი ამკობს“, ან კიდე: „ყოველი ქვის ქვეშ მორიელი, ყოველ ხვრელში გველის წინა წილა იზრდება დღე დღე“. რაც უფრო ცდილობს პოეტის ლირიკული გმირი აკეთოს სიკეთე ამქვეყნად, ბოროტებად უბრუნდება, რის გამოც შიშსა და სასოწარკვეთაში ვარდება. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის თითქმის ყველა ლექსი გაჯერებულია ცხოვრების ამაოებით, უიმედობით. ტრადიციის გათვალისწინებით ცდილობს ავტორი ეს თემები მოდერნული ავანგარდით წარმოაჩინოს:

„რეკენ ზარები  
შიშისმომგვრელ სიმარტოვეში  
იღვიძებს ჩემი მთვლემარე გონი  
და სიცხიანი ქალაქის მიღმა,  
ავისმეტყველი,

ძვალთშესალაგს დაყურებს ქარი“ (ცაავა, 2000).

ლირიკული გმირის ტანჯვა აულწერელია, წამება გაუსაძლისი: „იტირე ჩემო ბედისწერავ, შვებაა ცრემლი“. ნუგეშისმცემელიც კი არავინაა: „და მინდობილი უსაზღვრო სტიქიონს, მე ვამშვიდებდი საკუთარ ტკივილს ...“ მისი „მწუხრი ნერვადაა ქვეული“, ხოლო გულს „შემოაფცქვენს ხეჭო და ჭვარტლი“, მხარს „მძიმე ჯვარი ვეღარ მიაქვს“, თითები „ნერვიულად ცახცახებენ, მზეს გადაჩვეულა გული“. სევდით, ტკივილით ნასაზრდოები პოეზია არის ჭეშმარიტი პოეზია და არა მოდური ორიგინალობისთვის შექმნილი. მაიაკოვსკი წერს: „რომ თვით სევდა აწერინებდა ლექსებს“. გენიოსი მწერლის ეს მოსაზრება დალი ცაავას პოეტურ სამყაროზეც ვრცელდება. არატრადიციული მეთოდებით შემოსული პოეტი საკუთარი სტილის ერთგული მთავარი სათქმელი, რაც წითელ ხაზად გასდევს პოეტის ლექსებს, არის სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, აფხაზეთის მონატრება, მარტოობა, სულით ობლობა, სიყვარულში უიღბლობა, გაუტანლობა, ადამიანთა გულგრილობა, ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის, სიცოცხლე და სიკვდილი, ტყუილი და მართალი, ოცნება და სინამდვილე, მითი და რეალობა და სხვა თემები, რომლებიც ყველა დროში აქტუალურ თემებად რჩება. მწერლის შინაგანი ღირსება ხომ ისაა რა მოვლენანი გაუხდია მას თავისი მწერლობის საგნად.

პოეტის სევდას არა აქვს დასარული:

„წვიმს უკიდვანოდ, ნოემბრის ნისლებით დამძიმდა სხეული,  
სადღაც შორიახლო ობლად დარჩენილი ტირის მოლაღური...

მასაც ჩემდაგვარად ტკივა უსათუოდ ღამე-უსახური“.

ან „იყუჩე სულო, იბობოქრე გლოვის მდინარეც,

ქარო აშარო გამიშალე ნარის ფარდაგი“ (ცაავა, 2000).

„ისევ ერთად ვართ მარტოობავ ისლის კარავში“, „ეს გვიანი ფოთოლცვენაც თვითმკვლელობას გავს“, თითქმის ყველა ლექსში მარტოობას და უიმედობას ჩივის პოეტი. სულიერი განგამის პირობებში „ნერვად ქცეულა მწუხრი“. დალი ცაავას ფაქიზ, მიამიტურ, და მგრძნობიარე ნატურაში მიმდინარეობდა ენით აუღწერელი სულიერი განგამი ისევ და ისევ უიმედობის გამო: „მდუმარე სამრეკლო უხატო კანკელი აღარ არს იმედი“, „მე გულგრილობის საშიშ წრეში ვზი მარტოსული“. განხეთქილებას პოეტის სულში იწვევს ცხოვრების მწვავე საკითხებთან ძალიან ახლოს მისვლა. მწერლის შინაგანი ღირსებაც ხომ ესაა. მარტოობის განცდა არ ტოვებს პოეტს:

„რა დამრჩენია?! მხრები მტკივა, ვწევარ პირადმა  
ჰოი, მარადის იდუმალო თვალსაწიერო!,,  
მომენატრება გათენება ნისლებს გადაღმა -  
ისევ შლეგი ვარ და ქარივით უმეხსიერო  
რა დამრჩენია?!

აპრიალდება ერთხელ კიდევ სატანის გრდემლი  
და სულში დიდი მარტოობა დაისადგურებს“ (ცაავა, 2000)

დალი ცაავას მისი ამ დიდი სევდის გამოსახატავად თავისი ფრაზოლოგია, საკუთარი მხატვრული მიდგომა აქვს. ზოგჯერ ეს სევდა მეტად ორიგინალურად, ბიბლიური პასაჟებით არის გამოხატული:

„ო, ლოტის ცოლო შენი სოდომი,  
ვერ შეედრება ამ ტკივილს ახლა!“ (ცაავა, 2000).

აყრილი ღირსება, შიში, შიმშილი, ზნეობის კრიზისი, გულგრილობა, სამყარო, რომელიც მხოლოდ ბოროტებით და გაუტანლობითაა სავსე, უფრო და უფრო უძლიერებს პოეტს სევდას, იქნება ეს რელიგიურ ქრილში, ფილოსოფიურად, ქრისტიანული შეკითხვის კონტექსტში თუ სხვა ფორმით გამოხატული:

„რბილხორციანი მოლუსკივით ვზივარ ნიჟარაში  
ტყავის ვეებერთელა სავარძელში და ბელადონის  
მწარე ნაყენით ამაოდ ვცდილობ დავიყუჩო  
ჩემი ხსოვნიდან დაძრული სევდა“ (ცაავა, 2000).

დიდი ექსპრესიით გამოირჩევა კაპრიჩიო, სადაც უკიდევანო სევდას, ამქვეყნიური ცხოვრებისგან უზომოდ დაღლას ჩივის პოეტი.

„მძულხარ!

სიცოცხლე ტვირთია მხოლოდ,  
აღარ გრძნობს ტკივილს უკვე გულის  
არც ერთი ფესვი...“ ან

„ო, დღეის იქით,  
ვარ დაწყევლილი თემის შვილი და სიკვდილამდე  
ქვაა ჩემი თავსასთუმალი.  
ზიზღი საბანი“ (ცაავა, 2000).



მართალია, საწუთრო პოეტისთვის არის ამაოება და ამქვეყნად, სიბრძნეს მოაქვს დარდი. უფრო მეტიც:

„ქარბორბალა ამრობს უდაბნოს.

ეკლის გვირგვინი ადგას კეთილს,

ბოროტს დაფნის გვირგვინი ამკობს“ (ცაავა, 2000).

ამიტომაც „არც სიცოცხლე, არც სიკვდილი სულს არ სწადია“ - წერს პოეტი. ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში დალი ცაავა ამკარად განიცდის ტერენტი გრანელის პოეზიის გავლენას. გრანელი მის ერთ-ერთ შესანიშნავ ლექსში „გულიდან სისხლის წვეთები“ წერს: „არა სიკვდილი, არა სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“.

აფხაზეთის თემატიკას ქართველი მწერლების მხატვრულ მემკვიდრეობაში ხშირად ვხვდებით, მაგრამ ამ წალკოტ მხარეს ნაზიარებ ქართველ პოეტთა შემოქმედებაში ეს თემა მეტად განსხვავებული ექსპრესიითაა წარმოჩენილი. მათ აფხაზეთის გარეშე სუნთქვაც და, შესაბამისად, არსებობაც უჭირთ. მათი სულით ობლობის მიზეზი აფხაზეთია. ლექსები, რომლებიც შეტანილია პოეტის უკანასკნელ კრებულში „პონტოს ექსინოსი“, სწორედ ამ თემას ეძღვნება - აფხაზეთი. (შავ ზღვას ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მეხუთე საუკუნეებში ბერძენი ზღვაოსნები უწოდებდნენ პონტოს აქსინოს (pontos axeinós) სიტყვასიტყვით - „არასტუმართმოყვარე ზღვა“. ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან - „პონტოს ექსინოს“ (pontos evxeinos) მოიხსენიებდნენ, როგორც „სტუმართმოყვარე ზღვა“.

განსაკუთრებული სიყვარულით და ეროვნული ძალისხმევითაა გაჯერებული ლექსები აფხაზეთზე. დალი ცაავას პოეზიაში იმდენად ჩქეფს ეროვნული სისხლი და იმდენად ძლიერია აფხაზეთის მონატრების გრძნობა, რომ ამ მოტივზე შექმნილი ლექსები განსაკუთრებულად ამახსოვრდება მკითხველს. ნიჭიერი ხომ ის მწერალია, ვისი ნაწარმოებებიც რამდენჯერაც უნდა წაიკითხო, კიდევ აღგიძრავს სურვილს ახლად წაიკითხო, სწორედ ასეთი ლექსები აქვს პოეტს მიძღნილი აფხაზეთისადმი. აქაც უსაზღვროა პოეტი ქალის სევდა:

„სულს ამძიმებს აგვისტოს ფერფლი

და გარდაცვლილი ქალაქთა ძილი -

ლეთარგიული.

ასე იწყება ალბათ ვარამი,

როს დამარცხებულ ლაშქარს დახრილი მოაქვს ალამი

და უშენობით სავსე ღამეში არ არის სულთქმა.

ასე იწყება, სიმღერა უკანასკნელი“ (ცაავა, 2000).

დროის უხეში ხელიც კი ვერას აკლებს ხსოვნაში ჩარჩენილ აფხაზეთს. გულისტკივილით წერს პოეტი:

„როგორ მენანება .... ზღვა და ქოსაგარზე ქოხი - ბალაგანი,

დაუბრუნებელი თეთრი ხომალდების მშვიდი ქარავანი,

მთვარით მონუსხული ფიქრი ვარსკვლავებზე მალლა მახუდარი  
 ვაი... იანვარი... ბედი, ნათელივით შუა გადამტყდარი  
 დავთმე, ვინც მიყვარდა... განა მკურნალია დროთა მდინარება?!  
 ახლაც სასწაულის ჩუმი მოლოდინით სუნთქავს მონატრება  
 სადღაც შორიანლო ობლად დარჩენილი ტირის მოლაღური,  
 თეთრო იალქანო, ნუთუ გათენდება ღამე უსახური?!“ (ცაავა, 2000)  
 ერთ ამოსუნთქვაში იკითხება თითქოს ლექსი, რომელიც პოეტმა მიუძღვნა  
 მის სამშობლოს. „შენ ხარ საწყისი ყველაფრისა ,ყველა ნაყოფი  
 ჩასახულია შენს წიაღში და კურთხეული -  
 სრულყოფილია შენი სახის ხუთივე ხატი  
 პირველყოფილი შენ ხარ სიჩუმე  
 და როგორც ბალდი მთვარის მოვანებისას შობილი  
 არის უმწიკვლო შენზე სიმღერა.  
 და ყველა სიმი ხმა შეწყობილი.  
 მზე შენით ჩადის და სისხამ დილით,  
 როგორც ზამბაკში მარგალიტის გამოღვიძება  
 ჩაუმქრალია მისი კაშკაში“..

აფხაზეთისადმი უსაზღვრო სიყვარულითაა გაჯერებული კაპრიჩიო,  
 რომელიც ქართული ენისა და ლიტერატურის ამაგდარ პედაგოგს, თამარ გუ-  
 ჯაბიძეს მიუძღვნა პოეტმა. ლექსი გამოირჩევა ემოციური ზემოქმედების სა-  
 ოცარი მუხტით. დალი ცაავა თთქმის ყველა ლექსში ახერხებს ააფორიაქოს  
 და გამოაღვიძოს მკითხველის შინაგანი სამყარო, გააქტიუროს მისი ფსიქიკა.  
 ამას პოეტი „საკრამიტე თიხაში აზელილი შავნადველის“ წრფელი გადმოცე-  
 მით აკეთებს. „...მტკივა უსასრულოდ ყველა განშორება, ყველა პაემანი

სიმზე დამსხვრეული ღამე სიზმარია,  
 მთვარე კეთროვანი.

რას მღერის ქნარი - წიფლის ტოტი ოხვრით ჩამომხმარი,  
 როცა მდუმარეა ქარი-ოქროპირი ცა - განუჭვრეტელი,  
 დღეა დღეთაგანი, არსით ნუგეშინის აღარ ჩანს მცემელი,  
 იქ სადღაც, ოდესღაც ზღვა იყო მღელვარე  
 და ყოველ ცისმარე, ზვირთებს მოაპობდა თეთრი იალქანი.....

სიმზე დამსხვრეული ღამე სიზმარია, სული კიდობანი“ (ცაავა, 2000).

პოეტის „დამძიმებული სხეული“, ობლად დარჩენილი მოლაღური, „თე-  
 თრი ხომალდების მშვიდი ქარავანი“, ხსოვნაში ჩარჩენილი ტკივილად აფხა-  
 ზეთი არ აძლევს სიმშვიდეს პოეტს და სულის შემამოფოთებელი მონატრებით  
 წერს იგი: „მე იქ ვცხოვრობდი, ფიწალოზე მეგო ქილოფი,  
 მქონდა სამშობლო და სალბუნიც ჩემი სამყოფი,  
 ამოდოდა ზღვის ქაფიდან მთვარის ქალღმერთი,  
 მძულდა, მიყვარდა... შორეული... ის.. ერთადერთი“ (ცაავა, 2000).

„როგორც ჩანს, სამშობლო ისაა, ურომლისოდაც სიცოცხლე არ შემიძლია“ (ნ. ღუმბაძე). ეს სიყვარული, ეს განცდაა საოცრად მძაფრი ემოციებით და ძლიერი ექსპრესიით ნათქვამი პოეტის სიტყვებში:

„...ტირის თებერვალი, მხოლოდ სიზმარია თეთრი მაგნოლია,  
ქარის აგონია აფრებს გადაედო, თითქოს აღსასრული  
გარდაუვალია, თითქოს ჯოჯოხეთის შავი ჭიშკარია  
პონტოს ექსინოსი...

... წვეთავს სიმაღლიდან შხამი სისხლისფერი, სიმი, სიყვარულით  
გულში ანაჟღერი ჩაწყდა, ჩაიფერფლა მხარე საზღაპრისი.  
ჩემი აკვანია მკვდარი ოაზისი. მღერის იავნანას  
ქარი კუდიანი.  
ო, ანა მარია ... ტირის თებერვალი..“ (ცაავა, 2000).

პოეტს უნდა დაბრუნდეს მის აფხაზეთში, მის ბუდეში, სადაც გაიზარდა, სადაც დატოვა მშობლიური სახლ-კარი. მაგრამ იცის, მისი ნატვრა მშობლიურ ქალაქში დაბრუნებაზე აუხდენელ ოცნებად რჩება, სწორედ ეს აგდება პოეტს სასოწარკვეთაში: „ვიცი ბრუნდება ყველა ბარტყი ბუდის ძახილზე, / მაგრამ სადაა ჩემი ბუდე ან სამარტვილე?!“ (ცაავა, 2000).

ყველა პოეტის მხატვრულ მემკვიდრეობაში არის ლექსები, რომლებიც განსაკუთრებულად მოგწონს და ასევე განსაკუთრებულად გამოხატავს პოეტის მთავარ სათქმელსაც და სულის სულში ჩადებულ იდუმალებასაც. ერთ-ერთი ასეთი ლექსთაგანია კაპრიჩიო. ამ ნოტაზე მინდა დავასრულო საუბარი აფხაზეთის თემაზე, რომელიც უდიდესი ტკივილის და სევდის მიზეზი იყო დალი ცაავასათვის: „ასეა, ცოდვილ ვარ წინაშე უფლისა, ქალი ქარაფიდან,

ბედი მაქვს პოეტის, სანთელ-საკმეველი სხვისი რაღად მინდა,  
ვებრძვი ქარბორიებს, ნიშნადადებული შეგირდი მთვარისა,  
ურჩი და უგრეხი ძირით ძირობამდე კოლხური გვარისა.....  
ზღვა დამესიზმრება, წამით გაცხადდება არე ბუნდოვანი,

მზერას დაატყვევებს მოსული სხვაგნიდან უცხო კიდობანი“ (ცაავა, 1988).

და მაინც სიკეთისა და სინათლისათვის იბრძვის პოეტი. ამ ბრძოლაში მისი იარაღი სიტყვაა. ამიტომ სრულიად გასაგებია პოეტის მუდარა „იყავ სიტყვაო ჩემო „მყარი და ურყევი-კლიტე და ბოქლომი“. ეს სტრიქონები ჩვენი ფოლკლორიდანაა და წარმოადგენს ხალხური შელოცვის რემინისცენციას.

დალი ცაავა არა მარტო ძალიან შთამბეჭდავი და ორიგინალური ხედვის გამორჩეული პოეტური სახეა თანამედროვე ქართული პოეზიისა, არამედ იგი მეტად განსწავლულია მითოლოგიაში, კარგად იცნობს ჩვენს ფოლკლორს, ავლენს უზადო ცოდნას ბიბლიისა. დალი ცაავა აგრძელებს ბიბლიური სიმბოლიკის ტრადიციას, რაც აისახა ვ. ბარნოვის, გრ. რობაქიძის, გ. ლეონიძის, გ. ტაბიძის და სხვათა შემოქმედებაში. დასტურად მოგვაქვს მაგალითები, როგორც ბიბლიური გმირებისა, ასევე მითოლოგიური და ფოლკლორული სამყაროს სახე პერსონაჟთა გალერეადან. „საწნახელი სავსეა ჭინკებით“,

„ტყის დედოფალს მგელი შეუკაზმავს“ „აღქაჯების ჭრელი მარაქა“, „ელდორადო ოქროსფრად წვავს ჰორიზონტს“, „...და ასფურცელას ვუფევ იარებს“, „სირიუსი ნათობს მაღალი“, „ტოვებს წიაღს წმინდა ნილოსი“, „ქალაქთა ძილი ლეთარგიული“, „ჯადობაზის ცივი პროფილი“, „ბატონო კაიაფა“, „აბელის კრავები“, „არიადნას ძაფის გორგალი“, „ყვითელ ჰორიზონტზე ამოსულ ეფემერას“, „სამოთხის ვაშლი“, „თავსაფარი ვერონიკასი“, „ლევიათანის ხახა“, „პოსეიდონის მკაცრი სამკაპი“, „არონის კვერთხი“, „ლოტის ცოლი“, „დემონი ყვავი“, „კაენის მოდგმა“, „შეკრთა ედემი“, „სატანის პირმშო“, „დავითის ქნარი“, „ტირის სემირამი“, „მონა ალასფერი“, „გორგონა გრძნეული“, „სატანის გრდემლი“, „კასიოპეა-უნუგემო ცის სახსოვარი“, „მესმის სუნთქვა ზევსის ასულთა“, „ღმერთები ხელმეორედ სჯიან იკაროსს“, „მოინახულე კი-თერიავ ჩემი კუნძული“.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ დალი ცაავას პოეზია მისი ინტელექტუალური უნარების კომპლექსია პოეტურ პრიზმაში ორიგინალურად წარმოჩენილი. მისი პოეზია ელოდება ლიტერატურულ კრიტიკას, მომავლის პრეროგატივას ამ შესანიშნავი, მეტად ორიგინალური პოეტის პოეზიის კომპლექსურად შესწავლა, რაც ბევრ ახალ პლასტებს წარმოაჩენს თანამედროვე სალიტერატურო სივრცეში. დალი ცაავას პოეტური შემოქმედება მომავალში ელოდება თავის ღირსეულ წამკითხველს, შემფასებელს და დიდ აღიარებას, რასაც ნამდვილად იმსახურებს.

ჩვენ კი საუბარი გვინდა დავასრულოთ პოეტის უახლოესი მეგობრის, იოსებ ბროდსკის სიტყვებით: „ჩვენ მივდივართ, სილამაზე კი რჩება, ჩვენ მომავლისკენ მივემართებით, სილამაზე კი - მუდმივი აწმყოა“. ეს სიტყვები ნამდვილად ვრცელდება დალი ცაავას პოეზიაზე, რომელიც ყველა დროის ადამიანისათვის იქნება... „სილამაზე მუდმივი აწმყოსი“.

### **გამოყენებული ლიტერატურა:**

ბექიშვილი (2000). ნინო ბექიშვილი. ჟურნალი „ცხელი შოკოლადი“, N5, 2000; იგნატოვა, ე. (2019). ე. იგნატოვა. მოგონებები დალი ცაავაზე. გაზეთი „ჩემი აფხაზეთი“. 2019, N49;

ფირცხალავა: არჩილ ფირცხალავა.... ვიცი დიდი დღის მაინც...“<http://biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=3112> (ბოლო ნახვა, 2022.11.12.

ცაავა (2000) დალი ცაავა. პონტოს ევქსინოსი, ლექსები (ავტორი), გამომცემლობა „მერანი“. თბილისი.

ცაავა (1988) დალი ცაავა. თორმეტი კაპრიჩიო, გამომც. „მერანი“, თბილისი.